

ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისა“-ს თავმჯდომარის 2019 წლის ანგარიში

2010 წლიდან დღემდე მახათას მთაზე ღვთისმშობლის სავანის პროექტისთვის შემოწირულობა გაიღო 78,000 ადამიანმა. მათ მიერ მოხსენიებული ცოცხალი და გარდაცვლილი ადამიანების საერთო რაოდენობა კი 1 121 000-ია. თითოეული მათგანი, პატრიარქის კურთხევით, ტაძრის აღმშენებლად-ქტიტორად მოიხსენიება. ინფორმაცია აღმშენებლების შესახებ განთავსებულია ჩვენს ვებ გვერდზე: www.iveriisa.ge.

2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემოწირული თანხის ოდენობამ 1 124 340. 48 ლარი შეადგინა. სულ 2010-2019 წლებში 22 005 208. 99 ლარია შემოსული. აქედან დაახლოებით 10% დაიხარჯა ადმინისტრაციულ ხარჯებსა და საინფორმაციო მხარდაჭერაზე, ძირითადი თანხა კი მშენებლობას მოხმარდა. აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად არის შემცირებული შემოწირული თანხების ოდენობა, თუკი საშუალოთვიური შემოსავლების დინამიკა პირველ წლებში შეადგენდა დაახლოებით 250 000 ლარს, 2019 წელს ეს რიცხვი იყო 85 000 ლარი.

2019 წელს შემოწირული თანხით 1 124 340.48 ლარით მახათას მთაზე ღვთისმშობლის ტაძრის მშენებლობის, კეთილმოწყობისა და ფუნქციონირებისათვის დაიხარჯა 577 103.26 ლარი, ადმინისტრაციულმა ხარჯმა შეადგინა 242 287. 38 ლარი, ღვთისმშობლის ტაძარში ღვთისმსახურებაში მონაწილე ტაძრის პერსონალის ანაზღაურებამ 68 339.41 ლარი; საგანმანათლებლო ხარჯმა შეადგინა 10 150. 00 ლარი; სულ 2010 - 2019 წლებში დახარჯულია - 23 949 793. 05 ლარი .

იმის გათვალისწინებით, რომ 2017-2019 წლებში დაგეგმილი სამუშაოების დროულად შესრულების მიზნით აუცილებელი იყო ზოგიერთი სპეციფიკური სამუშაოს გარკვეული თანმიმდევრობით (დროში გადავადების შესაძლებლობის გარეშე) განხორციელება და ვინაიდან ამ სამუშაოების ერთიანი პაკეტით გაკეთება ფინანსური ეკონომიის საშუალებას გვაძლევდა, „საზოგადოება ივერიისა“-მ აიღო სესხი 880 000.00 აშშ დოლარი და 100 000.00 ლარი. აქედან 477 887.79 ლარი გასტუმრებულია 2019 წელს. მიმდინარე აქტიური სესხია 855 000 აშშ დოლარი.

დაწყებული 2012 წლიდან ყოველწლიურად კეთდება ჩვენი შემოსავლებისა და ხარჯების აუდიტი. ჩვენს ვებ გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ 2016-2019 წლების აუდირებული ფინანსური უწყისები.




ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის კურთხევა მახათას მთაზე - 12 მაისი, 2019 წელი

სამშენებლო სამუშაოები

მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრისა და სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაზე “საზოგადოება ივერიისა”- ს მიერ 2019 წლის განმავლობაში დახარჯული იქნა **577,103,26** ლარი. აღნიშნული თანხის გამოყენებით მოხდა შემდეგი ძირითადი სამუშაოების შესრულება:

მთლიანად დასრულდა ტაძრის მარმარილოს იატაკის მოხვეწა და გაპრიალება;

ტაძრის სვეტების გარშემო და კედლების გასწვრივ თეთრი, იტალიური წარმოების კარარას მარმარილოსაგან მოეწყო პლინტუსები;



ტაძრის შიდა სივრცე

დასრულდა ტაძრის სავენტილაციო სამუშაოები და განხორციელდა ტაძრის ნაგებობის თავზე ჰაერის გამოსასვლელი დეკორატიული 12 არხის მოწყობა;

ტაძრის ეკვდერებში, ჰაერის მიმოქცევის უზრუნველსაყოფად, იქ არსებული ხის ყრუ სარკმელები შეიცვალა მოძრავი ხის სარკმლებით; ტაძრის ეკვდერებში მოეწყო წყალგაყვანილობა, ელექტროგაყვანილობა და ელექტროგანათება;

საკურთხეველის ტრაპეზის მარმარილოს ფილის წიბოებზე მოქანდაკე პაატა გიგაურის მიერ ამოკვეთილი იქნა ღვთისმშობლის ლოცვა, რომელიც შემდეგ მოოქროვილი იქნა ოქროს ფურცლების გამოყენებით;



სატრაპეზო მაგიდა



დასრულდა აღსავლის კარის ხის ორნამენტების და კარის ორივე ფრთის საკურთხეველის მხარეს ვერცხლით მოვარაყების სამუშაოები;

აღსავლის კარის შიდა მხარე

სამკვეთლოსათვის მოქანდაკე ზაურ ჯოხაძის ხელმძღვანელობით დამზადდა და ადგილზე დამონტაჟდა სამკვეთლოს ტრაპეზი; სამკვეთლოშივე გაკეთებული იქნა ლითონის სეიფი და დაბალი ხის კარადა სამკვეთლოს კედლის მთელ სიგრძეზე საეკლესიო წიგნების შესანახად;

სადიაკვნეში გაკეთდა მღვდელმსახურთა ტანსაცმლის გამოსაცვლელი კარადები;

ტაძარში განხორციელდა ახალი ელექტროქსელის მოწყობა და ელექტრონათურების დამატება;

მოეწყო ტაძრის შიგა წყალგაყვანილობის სისტემა და ტაძრის ტერიტორიაზე დამონტაჟდა წყლის დასაღვევი შადრევანი;

დასრულდა წყალკურთხევის პავილიონის დიაბაზის მწვანე ქვით შესრულებული ცოკოლის დაბეტონების სამუშაოები, რომელიც ეტაპობრივად მიმდინარეობდა;

ოლეგ და პაატა გელაშვილების მიერ, მოქანდაკე გია ჯაფარიძის პროექტის მიხედვით, ჩამოსხმული იქნა თითბერისაგან ახალი სასანთლები. მათვე დაასრულეს ტაძარში შესასვლელი ცენტრალური კარების ზედა თალების გაფორმება თითბერის სხმულებით;

დათი კაკაბაძის მიერ შესრულებული იქნა კანკელზე ჩამოსაკიდი კანდელები;



ღვთისმშობლის ხატი



კანდელი

გამოიყო თანხები ტაძრის შიგნით ორი დამხმარე ოთახის და ორი სარდაფის ოთახის მეტლახის იატაკის, ელექტროგაყვანილობის და განათების მოსაწყობად, მათი კედლების შესაღესად და შესადებად, ასევე მათი ლითონის კარების მოსაწყობად საჭირო სამშენებლო მასალების შესაძენად;

შემენილი იქნა ტაძრის ანტრესოლის ორი შესასვლელი ლითონის კარის მოსაწყობად საჭირო მასალები და საკეტები;

შემენილი იქნა და ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟდა ტაძრის წინამძღვრის დროებითი საცხოვრებელი სახლი;

შემენილი იქნა სხვადასხვა საოჯახო ინვენტარი და ელექტრომოწყობილობები აღნიშნული სახლისთვის;

გადახდილი იქნა სამონასტრო კომპლექსის წყალსადენის ქსელის საქალაქო ქსელთან მიერთებისათვის საჭირო თანხა;

გადახდილი იქნა გაზის მილის გადატანის ღირებულება, რომელიც ხელს უშლიდა საზოგადოებრივ ტუალეტში მისასვლელი პანდუსის ფუნქციონირებას;

გადახდილი იქნა წყლის და ელექტროენერგიის გადასახადები;

ტაძრის კურთხევის ღონისძიებისათვის შემენილი იქნა სხვადასხვა საეკლესიო ნივთები და ინვენტარი; ხატები გაფორმდა ყვავილებით, მოეწყო ელექტროგაყვანილობის გარე დროებითი ქსელები სცენის მოსაწყობად და გადასაადგილებელი ტელესატრანსლიაციო სადგურების ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად; დაქირავებული იყო სხვადასხვა ამწე და სატრანსპორტო საშუალებები.

გარდა აღნიშნულისა, კერძო შემომწირველის მურმან მამრიკიშვილის მიერ საკურთხევისათვის და ორი ეკვდერისათვის დამზადებული და დამონტაჟებული იქნა კაკლის ხისაგან მოჩუქურთმებული ოთხი ერთფრთიანი და ორი ორფრთიანი კარი. აღსანიშნავია, რომ სამკვეთლოში და სადიაკვნეში შესასვლელი 2 კარი მთავარანგელოზების გამოსახულებით შესრულებულია ხეზე კვეთის ცნობილი ოსტატის პაატა დევდარიანის მიერ.

ტაძრის კურთხევის ღონისძიების მომზადებისათვის სათანადო სამუშაო გასწია ქ.თბილისის მერიამ. მის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „ალიანს 2017“-მა, რომელმაც შეასრულა დაახლოებით 750000 ლარის შემდეგი სამუშაოები:

- ტაძრის გარშემოსავლელი რკინაბეტონის ფილის დასრულება, ცენტრალური შესასვლელი კიბეების, პანდუსებისა და კვარლცხბეკების მოწყობით;
- ტაძარში შესასვლელი გვერდითა ტერასების და კიბეების მოწყობა გრანიტისაგან, მათი კედლების ყაზბეგის მწვანე დიაბაზით მოპირკეთებით;
- ტაძარსა და სამრეკლოს შორის არსებულ ტერიტორიაზე რკინაბეტონის ფილის მოწყობა გამწვანების ზონების გამოყოფით;
- სამონასტრო კომპლექსის წყალმომარაგება-კანალიზაციის გარე ქსელის და ხანძარსაწინააღმდეგო 2 ჰიდრანტის მოწყობა და საქალაქო ქსელებთან მიერთება;
- სამონასტრო კომპლექსის საქვაბესთან და სხვა საკომუნიკაციო ობიექტებთან მისასვლელი რკინაბეტონის გზის მოწყობა;
- თანამედროვე საზოგადოებრივი ტუალეტის შენობის მოწყობა მასთან მისასვლელი პანდუსით უნარშეზღუდული მოქალაქეებისათვის (ტიხრების, მეტლახის იატაკების და შეკიდული ჭერების მოწყობა, კედლების გალესვა და შეღებვა; სახურავიდან განათების უზრუნველსაყოფი შემინვის მოწყობა; მეტალოპლასტმასის კარებების მოწყობა; ყველა სანტექნიკური ხელსაწყოების დამონტაჟება; ვენტილაციის, ელექტრომომარაგებისა და წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემების მოწყობა)

ქ. თბილისის მერიის მიერ შესრულებულ იქნა ტაძართან მისასვლელი საქალაქო გზის მშენებლობის სამუშაოები, რომლის ღირებულებამ 1,5 მილიონ ლარს გადააჭარბა.

აღნიშნული გზის გარდა ტაძრისათვის მოეწყო ავტოსადგომი 250 ავტომობილზე



ავტოსადგომის მოწყობის სამუშაოები

აიგო საყრდენი კედელი ტაძრის კარიბჭის წინ მდებარე მოედნის გაფართოების მიზნით. შესრულდა მისასვლელი გზისა და ავტოსადგომის გარე განათების სამუშაოები. გზის პროექტში დაშვებული მთელი რიგი შეცდომების გამო მისი მოწყობიდან სულ ცოტა ხანში მოხდა ნაყარის ჩამოშლა და საჭირო გახდა დამატებითი სამუშაოების შესრულება. მერიის მიერ გაგრძელდა საყრდენი კედლის მშენებლობა, ასევე საყრდენი კედელი მოეწყო ტაძართან მისასვლელი ფერდობის მხარეს მდებარე რკინაბეტონის ფილის გასამაგრებლად. მერიის დაკვეთით მოეწყო ტაძრის წინ მდებარე ტერიტორიისა და ავტოსადგომის სადრენაჟე სისტემის მოწყობის სამუშაოები, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ თითქმის 500000 ლარი შეადგინა.

მერიის დაკვეთით განხორციელდა პანთეონსა და ტაძრის მთელ ტერიტორიას შორის ლითონის დეკორატიული ღობის მოწყობა პანთეონში შესასვლელი ლითონის კარის მოწყობით.

2019 წლის 21 სექტემბერს ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა ტაძრის სახურავის ერთი სეგმენტი, საიდანაც ქარმა მოხსნა სპილენძის ფირფიტა. დაზიანებული სახურავის აღდგენასთან ერთად, გამაგრდა გუმბათის მთელი პერიმეტრი ხის ლილვების დამატებით და სპეციალური ხრახნიანი ლურსმნების გამოყენებით.

ტაძარში სიტბოს შენარჩუნების მიზნით ხუთივე ძირითადი კარი შეიმოსა ლითონის სხმულებით და შესასვლელებში მოეწყო სპეციალური ლითონის ბარიერები, ასევე, ამბიონის ორივე მხარეს დამონტაჟდა დროებითი ხის კარი.



ღვთისმშობლის საგანე მახათას მთაზე
ავტორი: ომარ ნაფეტვარიძე



„საზოგადოება ივერიისა“-ს ქტიტორები - 12 მაისი, 2019 წელი

შეხვედრები საზოგადოებასთან

2019 წელს „საზოგადოება ივერიისა“-ს წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს და მახათას მთაზე მშენებარე სამონასტრო კომპლექსის არსსა და მნიშვნელობაზე ინფორმაცია მიაწოდეს ორმოცდაათამდე ორგანიზაციის ხელმძღვანელ პირებსა და თანამშრომლებს. შეხვედრის მონაწილეებს საჩუქრად დაურიგდათ ღვთისმშობლის მედალიონები, საინფორმაციო ბროშურები და აღმშენებელთა ანკეტები.

„საზოგადოება ივერიისა“-ს თანამშრომლების მიერ ყოველდღიურად ხდება მახათას პროექტში ჩართულ ორგანიზაციებთან კომუნიკაცია და მათთვის პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ასევე, სისტემატიურად ივსება და რედაქტირდება ღვთისმშობლის სავანის აღმშენებელთა ბაზა.



შეხვედრა ვაკის რაიონის გამგეობაში



შეხვედრა „საერთაშორისო ქართულ სკოლა“-ში

მრევლთან მუშაობა

2017-2018 საიუბილეო წლებთან დაკავშირებით აწყურისა და ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატებით საქართველოს რეგიონებში მოლოცვითი მოგზაურობის დასკვნითი ეტაპი თბილისში (რაიონების მიხედვით 20 ტაძარი, დასრულდა 2019 წლის 20 აპრილს).

მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში ყოველდღიურად მიმდინარეობს მსახურება, რომელშიც მონაწილეობენ მცხეთა-თბილისის ეპარქიის ტაძრები;

ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისა“ ფინანსურად უზრუნველყოფს ღვთისმშობლის ტაძარში ღვთისმსახურებაში მონაწილე ტაძრის პერსონალის ანაზღაურებას, რისთვისაც გამოყოფილია 68 339.41 ლარი გადასადახების ჩათვლით.

2019 წლის 8 აპრილს მოწვეულ იქნა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიების სამღვდელოება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების მოსამზადებლად.

ტაძრის საზეიმო კურთხევასთან და მთელი წლის განმავლობაში დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, დაიბეჭდა მრევლში დასარიგებელი ლიტერატურა - „საქართველო, ღვთისმშობლის წილხვედრი“ და ივერიის ღვთისმშობლის ხატები (300 000 ეგზემპლარი);

განათლების სამინისტროსთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად, მოეწყო შეხვედრები პედაგოგებთან რეგიონების მიხედვით და მოხდა სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის დღესასწაულთან დაკავშირებით.

ასევე ხელისუფლების ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო სტუდენტური ექსპედიციები საქართველოს მთიანეთში;

სპეციალურად შედგენილი გრაფიკის მიხედვით მომზადდა რეგიონებში სოფლებისა და ქალაქების დალოცვის ამსახველი დოკუმენტური ფილმი და რამოდენიმე სატელევიზო რეპორტაჟის მომზადება - ყველგან დარიგდა ბროშურები და ხატები, მოეწყო დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმების ჩვენება, ლექცია-სემინარები, გამოფენები, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები.



ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის კურთხევა მახათას მთაზე -
12 მაისი, 2019 წელი

კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ-მუზეუმი

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის ამოქმედებით, რომელიც 2019 წლის 12 მაისს აკურთხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, დასრულდა ღვთისმშობლის სავანის კომპლექსის მშენებლობის პირველი ეტაპი. შემდეგი ეტაპი ითვალისწინებს მონასტრისა და ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე თანამედროვე და უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ-მუზეუმის მშენებლობას, რომელსაც 2019 წლის 8 მაისს საქართველოს მთავრობის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და „საზოგადოება ივერიისა“-ს მიერ ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო, ეკლესია და საზოგადოება ერთობლივად განახორციელებს.




ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე ხელმოწერა - 2019 წლის 8 მაისი

მემორანდუმის შესაბამისად, ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისა“-მ 2019 წლის 10 ივნისს გამოაცხადა საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსი. საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდა 31 ივლისს. ინტერესი გამოხატა ოთხმა კომპანიამ. ეს კომპანიებია: „გილს არქიტექტურა და დიზაინი“ (საქართველო), „იდააფ არქიტექტორები“ (საქართველო), „ტრია გრუპი“ (საქართველო) და „აინდა არქიტექტურა“ (პორტუგალია). საკონკურსო კომისიამ, რომელიც დაკომპლექტებული იყო საქართველოს მთავრობის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისა“-ს წარმომადგენლებისაგან, მოწვეული ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე, გადაწყვიტა, რომ გამარჯვება მიენიჭოს „აინდა არქიტექტურა“-ს მიერ წარმოდგენილ პროექტს.



კომპანია „აინდა არქიტექტურა“
მუზეუმის ექსტერიერის ხედი



კომპანია „აინდა არქიტექტურა“
მთავარი ატრიუმი